ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# სალომე ზურაბიშვილი - თუ რამისთვის დავბრუნდი, არის ის, რომ სანამ ცოცხალი ვარ, ჩავიდე და ვნახო სოხუმი, იქიდან დანახული შავი ზღვა

„ყველაფერს გავაკეთებ, თქვენთან ერთად, ოღონდ, მარტო არ დამტოვოთ. ერთად საქართველოსთვის!“, –საქართველოს პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა, სალომე ზურაბიშვილმა, სპორტის-სასახლეში გამართულ შემაჯამებელ წინასაარჩევნო შეხვედრაზე მხარდამჭერებს მიმართა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა მმართველი გუნდის ლიდერებსა და მხარდამჭერებს მადლობა გადაუხადა.

„მე ვიცი, რომ ზოგიერთი თქვენგანისთვის, ალბათ არ იყო მარტივი სხვა კანდიდატისთვის დაგეჭირათ ასე აქტიურად მხარი, კანდიდატისთვის, რომელიც თქვენი პარტიის წევრი არ იყო, თქვენი პარტიიდან არა იყო გამოსული. მინდა, არა მხოლოდ მადლობა გადაგიხადოთ ამისთვის, მაგრამ გითხრათ, ამ გადაწყვეტილებით ბატონმა ბიძინამ და თქვენ ამისი შესრულებით, ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგით ქართულ დემოკრატიაში, როცა პარტია მხოლოდ თავისთვის არ ფიქრობს, რომ ყველა ადგილს უნდა დაეუფლოს, ეს იყო ერთ-ერთი ნაბიჯი ამ გზაზე“,– აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, ვისაც ქვეყნის გარეთ გააქვს ინფორმა-





გვ-8

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის
1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 44 (10289) 19 ნოემბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

# ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს ნასაკირალელ მესხებთან



გასულ პარასკევს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გურიის მხარის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია** და ოზურგეთის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე** ნასაკირალის ტერიტორიულ ერთეულში გადმოსახლებულ მესხებს შეხვდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მერიის თანამშრომლებთან ერთად იოსებ ხოზრევანიძის ოჯახს სტუმრობდნენ.

–„მოხარული ვარ რომ დღეს, როცა მსოფლიოში ტოლერანტობის საერთაშორისო დღე აღინიშება, ჩვენ ამ არაჩვეულებრივ ოჯახს ვესტუმრეთ და ვეცადეთ ჩვენი მათდამი პატივისცემა და თბილი დამოკიდებულება გამოგვეხატა. ამ ოჯახის მსგავსად ნასაკირალში წლების წინ გადმოსახლებული მესხური ოჯახები ღირსეულად თანაცხოვრებას ახერხებენ და ტოლერანტობის საუკეთესო მაგალითს გვაძლევენ. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მოვუსმინოთ მათ, ვიცოდეთ ამ ადამიანთა საჭიროებები და შესაძლებლობათა ფარგლებში თანადგომა გამოვუცხადოთ.“– განაცხადა ოზურგეთის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ.

# იკვეთება თუ არა დისკრიმინაცია თამარ დუმბაძის საქმეში? ფაქტს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს

მარი კოძოევი

ოზურგეთის, მუნიციპალ-იტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის, საჯარო მოხელეთა საქმით სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა. ომბუდსმენის წარმომადგენლები ორივე მხარეს შეხვდნენ და მათი აზრი მოისმინეს.

ქეთევან შუბაშვილს და გიორგი კაპანაძეს მაშინ გავე-საუბრეთ, როცა, ოზურგეთის მერის, კონსტანტინე შარაშენიძის კაბინეტიდან გამოდიოდნენ, სადაც, მერიის იურისტი, ლაშა თავაძეც იმყოფებოდა.

„ყველაფერი კომფიდენციალურია, იმიტომ, რომ არ არის დამთავრებული საქმის შესწავლა. ადგილზე ვართ და თამარ დუმბაძის განცხადებას ვსწავლობთ. მეტს სამწუხაროდ ვერაფერს ვერ გეტყვით. შევხვდით ორივე მხარეს, განმცხადებელს და მოპასუხეს“– გვითხრა **ქეთევან შუბაშვილმა.**

მერთან შესვლამდე ომბუდსმენის წარმომადგენლები თამარ დუმბაძესაც ესაუბრნენ.

**თამარ დუმბაძე:** – „მე მივმართე სახალხო დამცველის აპარატს. ეს იყო ივლისის თვეში. იმის შემდეგ მიმდინარეობს საქმის შესწავლა. ძი-რითადად დაინტერესდნენ აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის, კობა ხაბალაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებით, რომელიც ზეწოლას და ჩემი სამსახურიდან გაშვების მოთხოვნას ეხებოდა“.

იმ შემთხვევაში თუ მოკვლევით თამარ დუმბაძის დისკრ-იმინაციის ფაქტი დადასტურდება, სახალხო დამცველის აპარატი, მერს, რეკომენდაციებს მისცემს, თავად ფაქტი ომბუდსმენის წლიურ ანგარიშში მოხვდება.

შეგახსენებთ რომ საუბარია სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის, თამარ დუმბაძის მიმართ დისციპლინურ წარმოებზე, რომლის საპასუხოდაც დუმბაძე აცხადებს რომ მოქმედი მერის მხრიდან მისი დისკრიმინაცია მიმდინარეობს და კოტე შარაშემიძე ცდილობს სამსახურიდან დაითხოვოს.

საქმესთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენა 13 ნოემბერს გაიმართა. სხდომა იყო დახურული ფორმატის. რომელსაც მხოლოდ დაინტერესებული მხარეები ესწრებოდნენ.

**ლაშა თავაძე:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: –„შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის, თამარ დუმბაძის მიმართ (იქ სხვა პირების საქმეც განიხილებოდა) დისციპლინარულ წარმოებასთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენა დახურულ ფრომატში წარიმართა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 110-ე 111-ე და 112-ე მუხლების შესაბამისად, რადგან ხდებოდა მოქალაქეების პერსონალური მონაცემების განხილვა“.



**თამარ დუმბაძე:** – „პერსონალურ მონაცემებზე ნამდვილად იყო საუბარი. ბენეფიციარების განცხადებების განხილვა მიმდინარეობდა. 10 საქმე განვიხილეთ, რომლებზეც მედავებოდნენ. იქ ქალბატობენიც იყვნენ მოსულები, რომლებიც ბინის ქირით მოსარგებლეები იყვნენ და შეუჩერდათ, მედავებიან რომ თითქოს არ ეკუთვნოდათ ბინის ქირით დახმარება. სხდომა ალბად ამიტომ დახურეს. მე პირადად არ მინდოდა დახურულიყო შეხვედრა. მერჩივნა მოესმინა არასამთავრობოებს, მედიას ჩვენი პოზიციები.

16 ნოემბერს გადმომიგზავნეს ზეპირი მოსმენის ოქმი. რა თქმა უნდა იგი ცალმხრივადაა შედგენილი და მიკერძოებულია. ოქმში არ არის დაფიქსირებული კონკრეტული არგუმენტები და მხოლოდ ზოგადი ფრაზებია მოყვანილი. პასუხს აუცილებლად გავცემ და რეაგირებაც მათივე გადაწყვეტილების შესაბამისი იქნება.“–გვითხრა დუმბაძემ.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»


# საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური 28 ნოემბერს გაიმართება

**საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური მიმდინარე წლის 28 ნოემბერს გაიმართება.** განკარგულება მეორე ტურის დანიშვნის შესახებ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 14 ნოემბერს გამართულ სხდომაზე, 2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ მიიღო.

სხდომის დასრულების შემდეგ ცესკოს პრეს-სპიკერმა საინფორმაციო ბრიფინგი გამართა. როგორც ანა მიქელაძემ აღნიშნა, კანონმდებლობის თანახმად, არჩევნების დღე არის უქმე დღე. შესაბამისად, მიმდინარე წლის 28 ნოემბერი, ოთხშაბათი, ოფიციალურად არასამუშაო დღეა.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას იღებს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატი. შესაბამისად, 28 ნოემბრის არჩევნებისთვის ცესკოს მიერ დღესვე დამტკიცდა საარჩევნო ბიულეტენის ტექსტი. ბიულეტენში იქნება პრეზიდენტობის ორი კანდიდატი: **5 გრიგოლ ვაშაძე** და **48 სალომე ზურაბიშვილი**.

არჩევნების მეორე ტური 3 705 საარჩევნო უბანზე ჩატარდება. მათ შორის 55 საარჩევნო უბანი საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქებისთვის იმუშავებს. რაც შეეხება ავღანეთში დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში მოსამსახურე მოქალაქეებს, მათთვის ავღანეთში საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური 2 საარჩევნო უბანზე 26 ნოემბერს გაიმართება.

–„იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ ვერ გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობა არჩევნების დღის უქმე დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით, ცესკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებს აძლევს მეტ შესაძლებლობას ისარგებლონ საკუთარი კონსტიტუციური უფლებით. კონკრეტულად, ცესკოს გადაწყვეტილებით, საზღვარგარეთ შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიები იმუშავებენ დამატებითი დროით და ხმის მიცემის პროცედურები გაგრძელდება შესაბამისი ქვეყნის ადგილობრივი დროით არჩევნების დღის 24:00 საათამდე“, - განაცხადა პრეს-სპიკერმა.




მისივე ინფორმაციით, სხდომაზე ცესკომ დაამტკიცა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული საქმიანობები და ვადები. საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ამისა, დღევანდელ სხდომაზე ცესკომ განსაზღვრა მეორე ტურის ბიუჯეტი – სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამო-ყენების წესი.

# OSCE / OEC ექსპერტთა სემინარი ვენაში




5 და 6 ნოემბერს, ქალაქ ვენაში (ავსტრია, ჰოფბურგის სასახლე) 30 ქვეყნის 70 ექსპერტის მონაწილეობით, გაიმართა საერთაშორისო სემინარი - „ახალი მიდგომები და პრაქტიკული საშუალებები ადგილობრივ დონეზე კორუფციის თავიდან ასაცილებლად“.

ორდღიან შეხვედრაზე საქართველოს თბილისის მერია (დავით ჭურღულია, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე) და ოზურგეთის საკრებულო (ნანა თავდუმაძე, აპარატის უფროსი) წარმოადგენდნენ.

სემინარი ევროპის უშიშრო-ებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (**ეუთო-OSCE**), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (**ეთგო-OECD**) და ანტიკორუფციული ქსელის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის (**ACN**) ორგანიზებით ჩატარდა.

მონაწილეებმა სესიებზე ადგილობრივ დონეზე - ქალაქებში, რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში კორუფციის საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ ისაუბრეს და ასევე, ამ მიმართულებით არსებული გამოცდილების შესახებ იმსჯელეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა **ნანა თავდუმაძემ** ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დანერგილი ელექტრონული მმართველობის, მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები, სექტორებს შორის თანამშრომლობის მაგალითებისა და „ღია მმართველობა - პარტნიორობის“ ფარგლებში შესრულებილ ვალდებულებების შესახებ, რაც მონაწილეების მიერ შეფასდა, როგორც საუკეთესო პრაქტიკა.

საგულისხმოა, რომ ანტიკორუფციული ქსელის თემატურ - სასწავლო სახელმძღვანელოში „კორუფციის პრევენცია ადგილობრივ დონეზე: კარგი პრაქტიკა და პოლიტიკური რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიისათვის“, პრაქტიკულ მაგალითად განიხილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიღწევები.

# გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ღიაობის, გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობის უკეთ გაცნობის მიზნით




ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე, დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, სამუშაო ვიზიტით ვაშინგტონში იმყოფებოდა.

ვიზიტის მიზანი გახლდათ ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ღიაობის, გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობის უკეთ გაცნობა.

შეერთებულ შტატებში, დელეგაციის წარმომადგენლები გაეცნენ კომუნიკაციის ახალ, ინოვაციურ გზებს, სხვადასხვა უწყებებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსტრუქციული კომუნიკაციის მნიშვნელობას. აგრეთვე გაიზიარეს მოქალაქეებთან ურთიერთობაში სოციალური მედიისა და ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო გამოცდილება.

დელეგაციის წევრებმა ვაშინგტონში, მერილენდსა და ვირჯინიაში ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრებისას იმსჯელეს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისთვის არსებულ ახალ და ინოვაციურ გზებზე. ვიზიტის ფარგლებში ისინი სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებსაც შეხვდნენ და ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა საკითხების ირგვლივ ადვოკატირების კამპანიების ჩატარების გზები განიხილეს. ასევე, გაეცნენ ახალ ინოვაციურ პლატფორმებს, რომელთაც ადგილობრივი უწყებები ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებენ.

ვიზიტი გაიმართა „ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და მოქალაქეთა ჩართულობა“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც ეროვნულ - დემოკრატიული ინსტიტუტი (**NDI**) ახორციელებს.

# მადლობა „მედიჰაუსის“ თანამშრომლებს

ცუდად გავხდი. გულმა შემაწუხა. მივმართე კლინიკა „მედიჰაუსს.“

გულისხმიერებისა და კვალიფიციური მომსახურიბისთვის მადლობა ექიმებს შურა შერგელაშვილს, დოდო მურუსიძეს; მედდებს მაკა ტუღუშს, ხათუნა დუმბაძეს.

გისურვებთ სიკეთეს და ბედნიერებას.

ლამაზი 2019 წელი“ გაგთენებოდეთ.

**ომარ ანდღულაძე,**
სოფ. ბახვი

# გურიის გუბერნატორმა ჟურნალისტებს 2019 წელს რეგიონში განსახორციელებელი პროექტები გააცნო



**ალიონი.** გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია ადგილობრივი მედიის ჟურნალისტებს შეხვდა და რეგიონში 2019 წელს განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტზე ისაუბრა.

2019 წელს მოხდება საჯავახო-ოზურგეთი-ქობულეთის გზის 49-ე 54-ე მონაკვეთის რეაბილიტაცია (სამუშაოები დაწყებულია); ოზურგეთი-ნატანები-ურეკის ერთი მონაკვეთის და ბუკისციხე-ზემო სურების გზის 6,5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

მომავალ წელს რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია პროექტირების დასრულდება და ტენდერის გამოცხადება სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის, ოზურგეთი-ბჟუჟესი-გომისმთის, შუხუთი-აცანა-მამათი-ძიმითის გზების ცალკეული მონაკვეთების რეაბილიტაცია (38 კმ. გზა), ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.

2019 წელს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაგეგმილია ტენდერის გამოცხადება და რეაბილიტაცია გზების მოვლა-შენახვაზე. მოხდება 70 კმ.მდე გზის რეაბილიტაცია და 230 კმ. სიგრძის გზის მიმდინარე-შეკეთება. (საჯავახო-ოზურგეთი-ქობულეთი; ოზურგეთი-ბჟუჟესი-გომისმთა; ოზურგეთი-ნატანები-ურეკი; შუხუთი-აცანა-ძიმითი; ნატანები-ჩოლოქის ხიდი; ჩოხატაური-ბახმარო; ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესა; ჩოხატაური-ზომლეთი).

2019 წელს ნაპირსამაგრი სამუშ-აოები შესრულდება:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში: ძიმითისა და ნაგომრის გზაგასაყარზე მდ. სუფსის ნაპირსამაგრი სამუშაოები; სოფ. დვაბზუში და სოფ. გურიანთაში მდ. ნატანების ნაპირსამაგრი სამუშაოები; სოფ. ლიხაურში მდ. აჭისწყალზე ნაპირსამაგრი სამუშაოები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში: სოფელ გრიგოლეთში ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვისა და ნაპირ აღდგენის დროებითი, პრევენციული ღონისძიების სამუშაოები (2 მონაკვეთი).

2019 წლის სტიქიის პრევენციის ფარგლებში დაგეგმილი ტენდერის გამოცხადდება გზის ერთ მონაკვეთზე.

2019 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდება:

ქ. ოზურგეთი-ნარუჯა-ლაითურის 7,28 კმ გზის რეაბილიტაცია; დაბა ურეკში თაყაიშვილის ქუჩის 4,7კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია და სანაპირო ზოლში 1,7 კმ სიგრძის ბულვარის კეთილმოწყობა.

რაც შეეხება საჯარო სკოლებს, განათლების სამინისტრო აკეთებდა ამ საქმეს.. ამჟამად მისი დეცენტრალიზაცია მოხდა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და მუნიციპალიტეტებს გადაეცა. გუბერნატორის ინფორმაციით სკოლების რემონტზე 2019 წელს გურიაში 990 ათასი ლარი დაიხარჯება, აქედან 0,5 მილიონი ლარი ოზურგეთში, 270 ათასი ლარი ლანჩხუთში, 200 ათასი ლარი ჩოხატაურში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში –ჩიბათისა და ნინოშვილის საჯარო სკოლები, ხოლო ოზურგეთში დაბა ნასაკირალის, ნარუჯის; სოფელ მაკვანეთისა და ბახვის საჯარო სკოლები.

საბავშვო ბაღები აშენდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: სუფსაში, ხაჯალიაში, აცანაში; ჩოხატაურის მუნიციპალ-იტეტის სოფლებში: საჭამიასერში, იანეულში. (დაიხარჯება 2,5 მილ. ლარი).

რეგიონში 73 ამბულატორიიდან მხოლოდ 3 წესრიგში. 66 ამბულატორია საჭიროებს რემონტს, ხოლო 4 ამბულატორიისათვის ახალი შენობა აიგება.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია ჩატარდება: მერეგრძელა-კაპროვანის (640 ჰა); დედაბერა-ნიგვზიანის (250 ჰა) რიონის მარცხენა სანაპიროს (6,900 ჰა) სამელიორაციო სამუშაოები; მდინარე ფიჩორზე მოეწყობა ხიდი.

გურიის გუბერნატორმა სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზეც ისაუბრა, რომრლიც 2019 წლიდან კვლავ აღდგება. აღნიშნული პროგრამით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განსაზღვრულია 374 ათასი ლარი; ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 537 ათასი ლარი, ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში –365 ათასი ლარი.

გურიის გუბერნატორმა უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვებს.

საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე გურიის სამხარეო ადმინისტრაციას დამატებით ოზურგეთის მხარეთმცოდნების მუზეუმზეც დავუსვით კითხვა. როგორც ანა კიშინსკიმ გაგვიმარტა შედგენილია მუზეუმის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ეს პროექტი განხილვის სტადიაშია და მისი განხორციელება 2019 წელს სხვა ფონდიდან განხორციელდება.

# ნათია თურნავა გურიაში გაზიფიცირების დასრულებულ და მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო




ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია თურნავა საქართველოს რეგიონებში გაზიფიცირების პროცესთან დაკავშირებულ სამუშაოებს ეცნობა - ამჯერად ის გურიაში იმყოფებოდა. ნათია თურნავა ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის სო-ფლებს ესტუმრა გურიაში სახელმწიფო რწმუნებულ ზურაბ ნასარაიასთან, პარლამენტის წევრ ნინო წილოსანთან, „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს დირექტორ აზერ მამმადოვთან და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალურ დირექტორ ჯაბა ხმალაძესთან ერთად. მათ ერთად დაათვალიერეს გურიის რეგიონში მიმდინარე გაზიფიცირების სამუშაოები და სოფელ დაბლაციხეში გაზის გაშვების ოფიციალურ ცერემონიაში მიიღეს მონაწილეობა. ვიზიტის ფარგლებში ბუნებრივი აირის პირველად ანთების ტრადიციული ცერემონია ასევე გაიმართა სოფლებში - ჯაპანასა და წვერმაღალაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლები ჯაპანა და ლესა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი წვერმაღალა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი დაბლაციხე – ამ სოფლებში ნათია თურნავა მოსახლეობას შეხვდა და პირადად გააცნო მიმდინარე სამუშაოები. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ასევე მოისმინა ადგილობრივების მოსაზრება გაზიფიცირების პროცესთან დაკავშირებით. „ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად განვიხილეთ მიმდინარე პრობლემები, თუ რა კორექტივები შევიტანოთ ჩვენ შემდგომ, გაზიფიცირების სამწლიან გეგმაში, რადგან იმის მიუხედავად, რომ საქართველოს 84%-ს მიეწოდება ბუნერივი აირი, ჯერ კიდევ დასამუშავებელია გარკვეული უბნები, არის სოფლები, სადაც აბონენტების გარკვეული რაოდენობა გამოტოვებულია. ასევე არის სოფლები, სადაც ნაწილობრივია გაზიფიკაცია და ახალი აბონენტებია ჩასართავი“- აღნიშნა **ნათია თურნავამ.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, მოსახლეობის მხრიდან გამოთქმული ყველა შენიშვნა და თხოვნა სამომავლო სამწლიან გეგმაში იქნება გათვალისწინებული,, მთლიანობაში ძალიან კარგია, რომ ამ სამუშაოებს ახორციელებს სახელმწიფო. ამან მოგვცა საშუალება, რომ სამჯერ და მეტად გავზარდოთ ბოლო 2-3 წელიწადში გაზიფიცირების ტემპი“, - აღნიშნა ნათია თურნავამ.

საქართველოს რეგიონების გაზიფიცირების პროგრამას სახელმწიფო გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მეშვეობით, კომპანია „სოკარ“-თან ერთად ახორციელებს.

გურიაში 2013 წლიდან დღემდე გაზიფიცირებულია 3 მუნიციპალიტეტი, 66 სოფელი, 36190 აბონენტი. კერძოდ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ჯაპანა, ქვიანი, ჭყონაგორა, ჩოლობარგსა და ნიგოეთში გაზიფიცირებისათვის საჭირო სამპროექტო და სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. პროექტის ფარგლებში აიგო 59,905 გრძივი მეტრი გაზსადენი, რომელიც 1145 აბონენტს მისცემს საშუალებას, ჩაერთოს ბუნებრივი გაზის ქსელში.

ასევე დასრულებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წვერმაღალაში გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში აიგო 7902 გრძივი მეტრი გაზსადენი - 150 აბონენტი ჩაერთვება ბუნებრივი გაზის ქსელში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბლაციხეში გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებიც დასრულებულია. პროექტის ფარგლებში აიგო 26,493 გრძივი მეტრი გაზსადენი, რომელიც 377 აბონენტს მისცემს შესაძლებლობას ჩაერთოს ბუნებრივი გაზის ქსელში.

ამჟამად გაზიფიცირებისთვის საჭირო სამუშაოები მიმდინარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 4 სოფელში: ზემო და ქვემო ჩიბათში, ლესასა და აკეთში. გაზიფიცირების შედეგად ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვას შეძლებს 1287 კომლი. პროექტის ფარგლებში აიგება 83,667 გრძივი მეტრი გაზსადენი.

გაზიფიცირებისათვის საჭირო სამუშაოები მიმდინარეობს ასევე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 6 სოფელში: ბჟოლიეთი, წიფნაგვარა, ხევი, ბუქსიეთი, ამაღლება და სამება. გაზიფიცირების შედეგად ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვას შეძლებს 842 კომლი. პროექტის ფარგლებში აიგება 70,081 გრძივი მეტრი გაზსადენი.

2019-2021წწ. სამწლიანი გეგმის მიხედვით გურიის რეგიონში 8 სოფელში დაიწყება გაზიფიცირებისათვის საჭირო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ 2864 კომლს მიეცემა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.

# ექიმთა ბრიგადა დღეს ოზურგეთშია

**მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ექიმთა ჯგუფი, ეპილეფსიის დიაგნოსტიკისა და ზედამხედველობის პროგრამის ხელშეწყობის მიზნით, ნოემბერ - დეკემბერში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აქციებს ატარებს.**

**ამ მიზნით, დღეს, ეპილეფსიის დიაგნოსტიკისა და ზედამხვედველობის პროგრამის ფარგლებში, იაშვილის კლინიკის ექიმთა ჯგუფი გურიას ეწვევა.**

**ვიზიტის მანძილზე ექიმი - ნევროლოგები (პროფესორი ნანა ტატიშვილი, თათა სამხარაძე, ნევროლოგი - ეეგ სპეციალისტი თამარ ყიფიანი) კონსულტაციებს ჩაუტარებენ ეპილეფსიაზე საეჭვო როგორც პედიატრიულ პაციენტებს. საჭიროების შემთხვევაში გადაიღებენ ელექტროენცეფალოგრამას. ნევროლოგიის გარდა, აქციაში მონაწილეობას მიიღებენ: პედიატრი, პულმონოლოგი პროფესორი ოთარ რუსაძე, უროლოგი პროფესორი პაატა გიორგაძე, ორთოპედ/ტრავმატოლოგი მაცაცო ანთაძე, ჰემატოლოგი გია მესხიშვილი, რევმატოლოგი შორენა თვალაბეიშვილი.**

**აქციის ფარგლებში, ამბულატორიულ პაციენტებს ჩაუტარდებათ უფასო კონსულტაციები, შერჩეულ პაციენტებთან (მაქსიმუმ 15) გადაიღებენ ეეგ-ს, ასევე, რეგიონის ნევროლოგებთან და ოჯახის ექიმებთან ჩატარდება სამუშაო შეხვედრა ეპილეფსიის დიაგნოსტიკისა და ზედამხედველობის პროგრამასთან დაკავშირებით.**

**კონსულტაციები დილის 11:00 საათზე დაიწყება.**

**მისამართი: ოზურგეთი, ბავშვთა სამკურნალო ცენტრი, ერისთავის ქ.№22.**

# ეს იყო აკადემიურ დონეზე მომზადებული ღონისძიება

## გურული შემოდგომა №4 საბავშვო ბაღში

თემურ მარშანიშვილი





ქალაქ ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღში გურული შემოდგომის სასწაული სურნელი ტრიალებს. სათაურსა და პირველ წინადადებაში შემასმენელი ახლანდელ დროში შემთხვევით არ დაგვიტოვებია, რადგან, დარწმუნებული ვარ, 13 ნოემბრის ღონისძიების შემდეგაც, ვიდრე ზამთრის სუსხამდე, წელიწადის ეს ყველაზე მშვენიერი და ფერმსუყე დრო აქ შეუდარებელი იქნება.

სასკოლო მზაობის ოცდაოთხივე ბავშვმა გურულ შემოდგომაში იმდენი მზე ჩაღვარეს, გარდასახვისა და იმპროვიზაციის ისეთი უნარი გამოავლინეს, პროფესიონალ მსახიობებსაც რომ შეშურდებოდათ. არ არის ადვილი სულ რაღაც ნახევარსაათიან ღონისძიებაში წარმოაჩინო ბოლომდე დინამიზმით სავსე ამდენი ანდამატური მიზანსცენა, დამსწრეთ ხელახალი ნახვის სურვილს რომ აღუძრავს. თუმცა, ასეთი პროფესიონალი აღმზრდელებით და სულში ჩასაძვრენი, უნიჭიერესი ბავშვებით, ალბათ, შეუძლებელიც შესაძლებელია.

მენეჯერ **მარიკა ღლონტის** ბაღისაგან (№4 ბაღს ხშირად ასე მოიხსენიებენ და ეს ლოგიკურიცაა) კარგი ღონისძიებები ნამდვილად არ გვიკვირს, თუ ამას დავუმატებთ გამოცდილი მეთოდისტის **ნაილი გრძელიძის** ხელწერას, ძნელად წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რით განსხვავდება იმ კარგი ღონისძიებებიდან აქ 13 ნოემბერს წარმოდგენილი „შემოდგომა გურიაში“.

ეს იყო აკადემიურ დონეზე მომზადებული ღონისძიება, რომელშიც რასაკვირველია, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით აღმზრდელებს **ლია ქავთარაძესა** და **მარინა ინწკირველს,** მუსიკის მასწავლებელ ნონა ქილიფთარს.

ერთი სიტყვით, ქალაქ ოზურგეთის № 4 ბაღი შესანიშნავ ფორმაშია როგორც ინფრასტრუქტურულად, ისე პროფესიონალური საქმიანობის თვალსაზრისით.

აღტაცებული დავრჩით „ბუნების ოთახით“, რომელიც მნეს, ქალბატონ **ლალი ჩანტლაძეს** თავის მომცრო კაბინეტში მოუწყვია. „ბუნების ოთახი“ მხოლოდ მრავალფეროვანი დეკორატიული მცენარეულობით არ შემოიფარგლება, აქ საოცრად თვინიერი შინაური კურდღელიც კი ჰყავთ. გაგვიკვირდა, როცა იქვე ფანჯარასთან, თუთიყუშების გვერდით ხუნდი (მტრედის ბარტყი) დავინახეთ. როგორც აქ გვითხრეს, ის ფანჯარაში თვითონ შემოფრინდა, გაუშვეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა. დროდადრო გაინავარდებს, მაგრამ უფრო აქ ურჩევნია, ბავშვებს ელულუნება.

ღონისძიებაზე დამსწრე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელმა **ქეთევან კვაჭანტირაძემ,** ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრის თანამშრომლებმა და პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **როზა გოგუაძემ** მაღალი შეფასება მისცეს №4 ბაღის ამ შთამბეჭდავ ღონისძიებას.

# როგორ გაიცემა სესხები ფიზიკურ პირებზე 1 იანვრიდან



ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის დებულება 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებულ შეკითხვებს უპასუხა.

- **რა არის ამ დებულების მიზანი?**

- ამ დებულების მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება.

- **რა იცვლება ამ რეგულაციით?**

- ამ რეგულაციით სესხის გაცემის მომენტში სესხის გამცემს ეზღუდება ფიზიკურ პირზე იმაზე მეტი თანხის სესხის ან სხვა ვალდებულების (მაგ. თავდებობა) დაკისრება, ვიდრე ფიზიკურ პირს ამის გადახდის რეალური შესაძლებლობა აქვს. დებულებით გათვალისწინებულია ასევე გამონაკლისები (მაგალითად, ლომბარდული სესხების დროს შემოსავლების შეფასება აუცილებელი არ არის, თუმცა ამ შემთხვევაში, ფიზიკური პირის ვალდებულება მხოლოდ გირაოს საგნით იფარგლება).

- **როგორ შეფასდება, თუ რა მოცულობის ვალის მომსახურება შეუძლია მსესხებელს?**

- რეგულაცია აწესებს სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების მაქსიმალურ ზღვრებს, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებთან და ითვალისწინებს საქართველოს საბანკო სექტორის მახასიათებლებს.

- **ოჯახის მთლიანი შემოსავალი თვეში 3,000 ლარია. რა მოცულობის იპოთეკური სესხის აღებაა შესაძლებელი? 5,000 ლარის შემოსავლის შემთხვევაში?**

- სესხის მოცულობა განსხვავებული იქნება სესხის გამცემი ორგანიზაციებისა და საპროცენტო განაკვეთების მიხედვით. თუმცა, რეგულაცია სესხის გამცემს უსაზღვრავს მაქსიმალურ ლიმიტს ყოველთვიურ გადახდებზე.

მაგალითად, თუ ოჯახის შემოსავალი 3,000 ლარია, სესხის ყოველთვიური მომსახურების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1,350 ლარს 15-წლიანი სესხის შემთხვევაში და 1,650 ლარს - 5-წლიანი სესხის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ ბანკს შეუძლია გასცეს მაქსიმუმ 110 ათასი ლარის სესხი (დათვლილია 12% წლიური საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში).

5,000 ლარის შემოსავლის შემთხვევაში, ყოველთვიური გადახდები არ უნდა აჭარბებდეს 2,500 ლარს (სესხის ვადიანობა 15 წელი), ან 3,000 ლარს, უფრო მოკლევადიანი სესხის შემთხვევაში. ანუ, გაცემული იპოთეკური სესხის მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს 210 ათასს ლარს.

- **ეზღუდება თუ არა საკრედიტო ინსტიტუტს თავდების გამოყენება?**

- არ ეზღუდება. სესხის გამცემს შეუძლია მსესხებელთან ერთად დამატებით ფიზიკური პირის თავდებობის გამოყენება, მაგრამ მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რისი მომსახურების რესურსიც აქვს თავდებს ამ დებულების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ თავდები პირი წარმოადგენს მსესხებელი იურიდიული პირის

მმართველი ორგანოს წევრს/პარტნიორს/აქციონერს ან მათი საოჯახო მეურნე.

- **თუ არ მაქვს საკმარისი შემოსავალი, შემიძლია თუ არა მყავდეს თანამს-ესხებელი?**

- დიახ. თუ გაგაჩნიათ საკმარისი შემოსავალი, თქვენ არ გჭირდებათ თანამსესხებელი. თუმცა, თუ თქვენი შემოსავალი არასაკმარისია, მაშინ შეგიძლიათ თანამსესხებელად გამოიყენოთ ოჯახის წევრი, რომელსაც აქვს შემოსავალი. ამ შემთხვევაში, სესხის მომსახურების კოეფიციენტში ამ თანამსესხელის შემოსავალიც გაითვალისწინება.

- **ეხება თუ არა ეს მოთხოვნები სესხის რესტრუქტურიზაციას ან/და სხვა ბანკში გადატანას?**

- არა. იმისათვის, რომ არ შეიზღუდოს კონკურენცია, სესხის რეფინანსირება, რესტუქტურიზაცია ან სხვა საკრედიტო ინსტიტუტში სესხის გადატანა ახალი სესხის აღებად არ ჩაითვლება და ამ ოპერაციებს საკრედიტო კოეფიციენტების ზღვრები არ შეეხება, თუკი არ ხდება ჯამური დავალიანების ზრდა;

- **შეძლებს თუ არა არაფორმალურ სექტორში დასაქმებული პირი სესხის აღებას თუკი მას აქვს სტაბილური შემოსავალი, მაგრამ ეს შემოსავალი ბანკში არ ერიცხება?**

- დიახ, შეძლებს. რეგულირება არ კრძალავს არაფორმალური სექტორიდან ან ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავალის შემთხვევაში სესხის გაცემას. სესხის გამცემი შეაფასებს მსესხებლის შემოსავლების მოცულობას და სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას შიდა პროცედურების შესაბამისად მიიღებს;

შემოსავლის ბანკში ჩარიცხვა აუცილებელი არ არის, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფორმალური სექტორიდან შემოსავლის ან ბანკში ჩარიცხვის შემთხვევაში, გამსესხებლისთვის უფრო მარტივია შემოსავლების

შეფასება და, შესაბამისად, სესხის გაცილებით უკეთესი პირობით გაცემა.

- **შესაძლებელია თუ არა სესხის აღება უცხოეთიდან ფულად გზავნილებით შემოსავლის საფუძველზე?**

- დიახ, შესაძლებელია. რეგულაცია არ ზღუდავს ფულადი გზავნილებით მიღებული შემოსავალის შემთხვევაში სესხის გაცემას. სესხის გამცემი თქვენი შემოსავლების მოცულობას შეაფასებს მისი შიდა პროცედურების შესაბამისად და მიიღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის შესახებ

- **მსესხებელს არ აქვს დადასტურებული შემოსავალი (ფორმალური ან არაფორმალური). აქვს თუ არა გამსესხებელს უფლება გასცეს ლომბარდული სესხი საცხოვრებელი ბინის იპოთეკით?**

- დიახ, უძრავი ქონებით სრულად უზრუნველყოფილ სესხზე, როდესაც სესხის დაფარვის წყაროა გირაოში ჩადებული აქტივის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.

- **გაქვთ შემოსავალი და ასევე ფლობთ ერთ საცხოვრისს. შესაძლებელია თუ არა ამ ბინის გირაოში ჩადება/იპოთეკით დატვირთვა და სესხის აღება?**

- დიახ, შეგიძლიათ სესხის აღება იმ მოცულობით, რაც დააკმაყოფილებს რეგულაციის მიხედვით განსაზღვრულ საკრედიტო კოეფიციენტებს.

- **ხართ ფიზიკური პირი, იღებთ სესხს ბიზნეს (მაგ. სოფლის მეურნეობის ან ტურიზმის) მიზნობრივობით. უნდა აკმაყოფილებდეთ თუ არა ამ დებულებით განსაზღვრულ კოეფიციენტებს?**

- არა. სესხის გამცემმა უნდა შეაფასოს ფიზიკური პირის შემოსავალი და განსაზღვროს სესხის მოცულობა მისი შიდა პროცედურების შესაბამისად ისე, რომ მსესხებლის ჭარბვალიანობა არ გამოიწვიოს.

- **იზღუდება თუ არა უძრავი ქონების შეძენა შემდგომი გაქირავებისათვის?**

- არა. სესხის გამცემმა გონივრული პრინციპებით უნდა შეაფასოს მსესხებლის არსებული და მომავალში გაქირავებიდან მისაღები შემოსავალი და შიდა პროცედურებით განსაზღვროს სესხის მოცულობა.

- **რეგულირდება თუ არა ამ დებულებით ე.წ. სტარტაპ და სტუდენტური სესხები?**

- სესხის გამცემმა უნდა იხე-ლმძღვანელოს გონივრული შიდა პოლიტიკა/პროცედურებით და გასცეს იმ მოცულობის სესხი, რომელიც არ გამოიწვევს პირის ჭარბვალიანობას.

- **უნდა შეუთანხმოს თუ არა სესხის გამცემმა ორგანიზაციამ მისი შიდა პოლიტიკა/პროცედურები ეროვნულ ბანკს?**

- არა, წინასწარ შეთანხმება სავალდებულო არ არის თუ სესხის გამცემი ორგანიზაცია ამ დებულების პრინციპების შესაბამისად მოქმედებს. სესხის გამცემმა ორგანიზაციებმა უნდა იხელმძღვანელონ გონივრული შიდა პოლიტიკით/ პროცედურებით, რომლებიც საფრთხეს არ შეუქმნის ამ ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობას და არ გამოიწვევს მსესხებლის ჭარბვალიანობას.

- **ეხება თუ არა ეს შეზღუდვები ე.წ. მევახშეებს?**

- დიახ. 2019 წლის 1 იანვრიდან რეგულაცია გავრცელდება ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ყველა იმ სუბიექტზე, ვინც სესხს 20-ზე მეტ პირზე გასცემს.

- **შესაძლებელი იქნება თუ არა ფინანსური ინსტრუმენტებით (ისეთებით, როგორიცაა დეპოზიტი და ფასიანი ქაღალდი) სრულად უზრუნველყოფილი სესხის აღება?**

- დიახ. იმ შეთხვევაშიც კი, თუ არ გაქვთ შემოსავალი და არ გერიცხებათ ხელფასი, ფინანსური ინსტრუმენტებით (ისეთებით, როგორიცაა დეპოზიტი და ფასიანი ქაღალდი) უზრუნველყოფილი სესხის აღება შესაძლებელი იქნება.

- **იკრძალება თუ არა ე.წ. ლომბარდულ სესხები?**

- არა. თუმცა, სესხის გამცემის მოთხოვნა შემოფარგლული იქნება მხოლოდ უზრუნველყოფაში წარმოდგენილი ქონებით და ველარ მოხდება კლიენტის სხვა ქონებაზე გადახდევინების მიქცევა/ დასაკუთრება.

- **შეუძლია თუ არა სესხის გამცემ ორგანიზაციას გასცეს სესხი ამ დებულებიდან განსხვავებული პირობ-ებით?**

- დიახ. თუმცა, ამისათვის სესხის გამცემმა ორგანიზაციამ წინასწარ უნდა მიიღოს ეროვნული ბანკის თანხმობა, რათა გამოირიცხოს მსეხებლისათვის შემოსავლების შეუსაბამო საკრედიტო ტვირთის დაკისრება.

- **გაქვთ თუ არა უცხოურ ვალუტაში სესხის აღების შესაძლებლობა, თუკი შემოსავალს იღებთ ლარით?**

- დიახ. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ უცხოური ვალუტის სესხს აქვს სავალუტო და საპროცენტო რისკები. თუ სესხს ევროთი აიღებთ და შემდგომ ევრო

გვ-6

# ტყვეთა სყიდვა საქართველოში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით




. 1822 წლის 7 აგვისტოს ივან ველიამინოვი ახალციხის ფაშას სწერდა: „განა შეიძლება მეგობრულ განწყობილებად ვცნოთ ის, რომ ყარსისა და ახალციხის საფაშოებში თავს აფარებენ მტაცებელი ლეკები, რომლებიც საქართველოდან ადამიანებს იტაცებენ და ყიდიან. ეს ხდება აშკარად და არა მარტო დაუსჯელი რჩება ოსმალეთის მთავრობის მხრიდან, არამედ თვით ამ საფაშოების განმგებლები ჩვენგან მოტაცებული ადამიანებისათვის გამოსასყიდს მოითხოვენ"...

1828-1829 წლების ომში რუსეთმა ოსმალეთი დაამარცხა და ადრიანოპოლის ზავით (1829 წ.), ოსმალეთს სამცხე-საათაბაგო დაათმობინა. რუსეთ-ოსმალეთის საზღვარმა სამხრეთით გადაიწია, ხერთვისი, ახალციხე და ახალქალაქი რუსეთს გადაეცა. მაგრამ კავკასიის მთავარსარდალი ივან პასკევიჩი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ოსმალეთ-რუსეთის საზღვრის სამხრეთით გადაწევის შემდეგაც კი მშვიდობა არა თუ მთელ სამხრეთ კავკასიაში, არამედ თბილისშიაც კი არ იყო უზრუნველყოფილი.

**ამრიგად, რუსეთმა ორგზის, 1806-1812 და1828-1829 წლებში ოსმალეთი დაამარცხა, სამცხე-საათაბაგოს სტ-რატეგიულ პუნქტებში (ხერთვისი, ახალციხე, ახალქალაქი) ჯარი ჩააყენა, საზღვარზე საგუშაგო რაზმებიც განალაგა, მაგრამ ლეკთა და ოსმალთა თარეში საქართველოში და ადამიანების გატაცება კვლავ გრძელდებოდა, ოსმალეთის ტყვეთა ბაზარი კვლავ ივსებოდა ქართველებით.**

## ქართველთა მიერ ადამიანებით ვაჭრობა.

1804 წელს იმერეთსა და სამეგრელოში მივლინებულირუსი მოხელე პიოტრ ლიტვინოვი წერდა:იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამეგრელოს მთავარი მეზობლებთან არ ომობს, ქვეყანაში მშვიდობა არ მყარდებაო. მშვიდობიანობის დროსაც სამეგრელოში ადამიანების მოტაცება გრძელდებოდა და როგორც ლიტვინოვი წერს, ამ საძრახის საქმეში მონაწილეობდნენ „არა მხოლოდ უპირველესი თავადები, არამედ ყველაზე მეტად გრიგოლ დადიანის ძმები". ლიტვინოვის აზრით, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ „დადიანის ხელისუფლება იმდენად დაეცა, რომ ვერ ბედავდა ბოროტების დასჯას და იმგვარი ბრძანების გაცემასაც კი, რომელიც არასასიამოვნო და საზარალო იქნებოდა თავადებისათვის", რომლებიც ტყვეებით ვაჭრობდნენ. სამეგრელოს მთავარს მუდმივი ომი ჰქონდა აფხაზეთის მთავართან ანაკლიისათვის, ხოლო იმერეთის მეფესთან — ლეჩხუმისათვის. გრიგოლ დადიანს ეშინოდა, ომის დროს თავადებს მისთვის არ ეღალატათ და ამიტომ ტყვეებით ვაჭრობის ფაქტებზე თვალს ხუჭავდა. ტყვეებით მოვაჭრე თავადების მოქმედება ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. XIX საუკუნის პირველ ათწლეულში ამ უზნეო საქმიანობით განსაკუთრებით გაითქვა სახელი თავადმა **ბეჟან მხეიძემ**. გრიგოლ დადიანისაგან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით ბეჟან მხეიძემ მძევლად წაიყვანა მთავრის მეორე ვაჟი. გრიგოლ დადიანის უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე ლევანი, მძევლად ჰყავდა ტყვეებით ვაჭრობის წამქეზებელსა და მფარველს, აფხაზეთის მთავარ **ქელეშ მეჰმედბეი შერვაშიძეს.** იმერეთის მეფესთან ლეჩხუმისათვის ომში ჩართული სამეგრელოს მთავარი აფხაზეთის მთავართან მოჩვენებით მეგობრობას ინარჩუნებდა. XIX საუკუნის 30-იან წლებში ნაციმბირალი **ჰასან ბეი შერვაშიძე** შიშის ზარს სცემდა აფხაზეთის მოსახლეობას...

ადამიანებს იტაცებდნენ რუსეთის იმპერატორის სამხედრო სამსახურში მყოფი ადგილობრივი ქართველი თავადებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გურული თავადი მაიორი თავადი **დავით მაჭუტაძე** და მისი შვილი **ალექსანდრე.** მათ ყაჩაღთა მთელი ბანდა ჰყავდათ, რომლებიც განუწყვეტლივ თარეშობდნენ და მოტაცებულ ქართველებს ფოთში მონებად ყიდდნენ. 1828 წელს გენერალი **ნიკოლაი სიპიაგინი** ივან პასკევიჩს სწერდა, რომ მაიორი მაჭუტაძე თავისი რაზმით სისტემატურად „თავს ესხმის მეგრელებს, ხოლო 31 მაისს (1828 წ. – ვ. გ.) მათ ტყვედ აიყვანეს სამი მამაკაცი". თავად მაჭუტაძეს ჰყავდა ძლიერი მფარველი — გურიის გამგებელი დედოფალი სოფიო.

## ადამიანებით ვაჭრობა სამეგრელოში, აფხაზეთში, წებელდაში, სამურზაყანოსა და გურიაში.

1804 წლის 16 ივნისს პიოტრ ლიტვინოვმა სამეგრელოს მოსახლეობას აცნობა, რომ ადამიანებით მოვაჭრენი რუსეთის კანონებით დაისჯებოდნენ. ბრძანებაში განმარტებული იყო, რომ სიკვდილით დაისჯებოდა არა მარტო ადამიანების გამტაცებელი და ტყვით მოვაჭრე, არამედ მისი ოჯახის ყველა წევრი. ამ ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ შეშინებულმა ტყვით მოვაჭრეებმა თავი ფოთის ციხეს შეაფარეს. ფოთის ციხის გარნიზონი მუდმივად აძლევდა თავშესაფარს იმერეთიდან, სამეგრელოდან და გურიიდან დევნილ ადამიანების გამტაცებლებს. 1805 წლის 28 თებერვალს რუსეთის იმპერატორისა და სამეგრელოს მთავრის სახელით ლიტვინოვმა გამოაქვეყნა ბრძანება და მოწოდება სამეგრელოში ადამიანების გატაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის აღკვეთის მიზნით. ხელისუფლებასგანზრახული ჰქონდა ადამიანებით მოვაჭრე თავად **ბეჟან მხეიძის** დაპატიმრება, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა იმის გამო, რომ იგი თავისი რაზმით მუდმივად ტყეებში ცხოვრობდა. 1805 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს მთავარსარდალი პაველ ციციანოვი პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებაში ითხოვდა, რომ „სამეგრელოში ტყვეებით ვაჭრობის საბოლოოდ ალაგმვისათვის ფოთში გადასახლებულ ტყვეებით მოვაჭრე აზნაურებს, რომელთაც „მამულები აქვთ დადიანის სამფლობელოში (.....) დადიანის სასარგებლოდ ჩამოერთვათ ადგილმამული", ხოლო დაპატიმრების შემთხვევში ისინი გადაეცნენ სამხედრო სასამართლოს. ციციანოვის თხოვნა უყურადღებოდ დარჩა.

მას შემდეგ, რაც ქართველთა და რუსთა ჯარმა 1809 წელს ფოთი აიღო, გახარებული ალექსანდრ ტორმასოვი პეტერბურგს აცნობებდა, რომ ფოთის აღებით „აღიკვეთა ყოველგვარი ბოროტება, რომელიც ქრისტიანი ტყვეების გაყიდვის სახით აქამდე არსებობდა". საქართველოს მთავარსარდალი აღნიშნავდა, რომ ადამიანებს იტაცებდნენ **იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან** და შემდეგ ყიდდნენ **ირანის, ოსმალეთისა** და **ეგვიპტის** მონათა ბაზრებზე. 1810 წლის 14 თებერვალს რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი **მიხაილ ბარკალაი დე ტოლი** ტორმასოვს სწერდა: „საჭიროა ახალციხის საფაშოს მალე აღება (...), რათა მომავალში აღკვეთილ იქნას საქართველოში ლეკთა, ოსმალთა და ირანელთა თარეში". იმხანად ახალციხის აღება ვერ მოხერხდა, ხოლო ბუქარესტის ზავით (1812 წ.) ფოთი კვლავ ოსმალეთს გადაეცა. ჯერ კიდევ ფოთის ოსმალეთისათვის დაბრუნებამდე სამეგრელოს დედოფალი **ნინო** ტორმასოვთან ჩიოდა, რომ, თავადები, გიორგი და ბეჟან მხეიძეები, "გამუდმებით ყიდიან ქრისტიანებს ოსმალებზე და ურწმუნოებზე". 1812 წელს სამეგრელოს მთავარმა ბეჟან მხეიძე დაატყვევა და რუს გენერალ **იონ რიკჰოფს** გადასცა. მალე რიკჰოფი გარდაიცვალა და მის ნაცვლად დანიშნულმა გენერალ-მაიორმა დიმიტრი ორბელიანმა ბეჟან მხეიძე სიკვდილით დასჯის ნაცვლად გაათავისუფლა. როგორც აღვნიშნეთ, ბუქარესტის ზავით ფოთი რუსეთმა კვლავ ოსმალეთს დაუბრუნა, რასაც ადამიანებით ვაჭრობის გამოცოცხლება მოჰყვა. 1813 წლის 16 მარტს სამეგრელოს მთავარი **ლევან დადიანი** საქართველოს მთავარსარდალ ნიკოლაი რტიშჩევს ატყობინებდა, რომ ფოთისა და ანაკლიის ოსმალეთისათვის გადაცემის შემდეგ ოსმალებმა აფხაზებს ადამიანებით ვაჭრობის გაძლიერებისაკენ მოუწოდეს. ლევან დადიანი წერდა:

„ჯერ კიდევ 5 თვეც არ იქნება, რაც ოსმალებმა დაიბრუნეს ფოთის ციხე და უკვე ოსმალებისაგან წაქეზებულმა აფხაზებმა იქ ჩაიყვანეს და გაყიდეს ჩვენი სარწმუნოების 200-300 ადამიანი". ამ დროიდან ფოთი კვლავ იქცა საქართველოდან მოტაცებული ადამიანების მთავარ საექსპორტო პუნქტად და ადამიანებით მოვაჭრეთა თავშესაფრად.

1814 წელს იმერეთის მმართველი გენერალ-მაიორი **ფიოდორ სიმონოვიჩი** საქართველოს მთავარსარდალ ნიკოლაი რტიშჩევს ატყობინებდა, რომ ფოთში მყოფი ოსმალო სერასკირი **სეიდ სულეიმან ფაშა** და **სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი** აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იმერეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან და აფხაზეთიდან გატაცებული ადამიანებით ვაჭრობაში. ადამიანების გატაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის აღკვეთის მიზნით რუსეთის ხელისუფლების დახმარებით ენერგიულად იბრძოდა სამეგერელოს მთავარი ლევან დადიანი.

1815 წლის 28 ნოემბერს „წებელდის თემის ბატონებმა **მისოსტ უჩერდიას ძე მარშანიამ,სარალუფ თულაფსის ძე მარშანიამ** და **ზერეფსუ ომერის ძე მარშანიამ** საფიცარი წიგნი მისცეს ლევან დადიანს, რომელშიც აღნიშნულია, რომ მათგან არ იქნებოდა „არცა ტაცება ტყვისა და არცა სხვა რაიმე" ავის მოქმედება. სამი თავადიდან არცერთმა წერა-კითხვა არ იცოდა, რის გამოც საფიცარ წიგნზე მათი თხოვნით ხელს აწერდა ლევან დადიანის კარის დეკანოზი ივანე იოსელიანი.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სამეგრელოში ადამიანების გატაცება და ტყვეებით ვაჭრობა ვერ აღიკვეთა. თავისუფლად დათარეშობდნენ ტყვეებით მოვაჭრე თავადი **ბეჟან მხეიძ**ე, აზნაური **ბეჟუკ გამსახურდია** და მრავალი სხვა. ოციოდე წლის შემდეგ, 1837 წელს, წებელდელი მარშანიები საქართველოს მთავარსარდალ გრიგორი როზენს დამორჩილდნენ. დანებებისას თავადებმა რუსებს გადასცეს მათ მიერ გატაცებული 40 მამაკაცი, რომელთაგან ზოგიერთს ტყვეობაში 15-25 წელი ჰქონდა გატარებული, ხოლო ერთი მათგანს – 30 წელი. რუსეთის ხელისუფლების ბრძოლა ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთისათვის, ცხადია, დადებით მოვლენას წარმოადგენდა და ქართველთა გენოფონდის გადარჩენას უწყობდა ხელს. თუმცა, რუსეთის საიმპერატორო კარს, გარდა დაპყრობილ ქვეყანაში წესრიგის დამყარებისა, სხვა მიზეზიც ამოძრავებდა. ხელისუფლებას სურდა შავი ზღვის სანაპიროზე (აფხაზეთში, სამეგრელოსა და გურიაში) რუსი კოლონისტების ჩამოსახლება, რაც ადამიანების გატაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის პირობებში ვერ განხორციელდებოდა. **რუსეთის ხელისუფლებას ასევე სურდა შავი ზღვის სანავსადგურო ქალაქები სავაჭრო ცენტრებად ექცია, მთელი დატვირთვით აემუშავებინა მდინარე რიონის სანაოსნო გზა, რაც ასევე წარმოუდგენელი იყო ტყვეთა სყიდვის პირობებში.** უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთი დაინტერესებული იყო რუსეთთან ვაჭრობით, საქართველოს სანავსადგურო ქალაქებში საქონლის შემოტანით, მაგრამ სანამ სოხუმი, ანაკლია და ფოთი ოსმალეთის ხელში იყო, ოსმალები იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან, უპირველეს ყოვლისა, გოგო-ბიჭების გაყვანით იყვნენ დაინტერესებულნი. ერთ-ერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც 1811 წელს განეკუთვნება, იუწყება, რომ ოსმალო ვაჭრები შემოტანილ საქონელს სწორედ ქართველ გოგობიჭებზე ცვლიდნენ.

**ვახტანგ გურული**

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918, ტ. 1. გვ.280-283)

# ნესტორი, ვაჟა, დავითი

ამ შესანიშნავ სამეულს სოფელ მერიის საჯარო სკოლის მოსწავლეები გვარით უფრო იცნობენ, ვიდრე სახელით, რადგან სკოლაში გვაქვს **მიქატაძეების სახელობის უნიკალური ბიბლიოთეკა.**

**ნესტორმა**, თავის შვილებთან ერთად, ორი წლის წინ დაიწყო ქველმოქმედება და დღეისათვის მის მიერ სკოლისთვის გამოგზავნილი წიგნადი ფონდის ღირებულებამ 9 000 ლარს გადააჭარბა. ეს ქველმოქმედება პერიოდულია.

**ნესტორი, ვაჟა და დავითი** ჩემს თვალწინ დაფრთიანდნენ და წარმატებებსაც მიაღწიეს.

განსაკუთრებით მინდა მოვეფერო დავითს და გავახსენო ის პირველი ღონისძიება — ანბანის ზეიმი, სადაც ის დედამ **ნარგიზ დვალაძემ** ანბანით დახუნძლულ შავ ფრაკში გამოწყობილი შემოიყვანა. როგორ მინდა, ისევ ისე მოვეფერო, როგორც პატარას.

ახლა ეს ჩემი პატარა დავითი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილეა.

წარმატებებს გისურვებ, საამაყო კაცი ხარ, ჩემო დავით!

**ციური ბაბილოძე,**

პირველი მასწავლებელი

# როგორ გაიცემა სესხები ფიზიკურ პირებზე 1 იანვრიდან

ლარის მიმართ მნიშვნელოვნად გამყარდება, მაშინ თქვენი სესხის გადახდებიც გაიზრდება და, შესაძლებელია, სესხს ვეღარ მოემსახუროთ. აქედან გამომდინარე, დებულება უცხოური ვალუტის სესხებზე უფრო მკაცრ საკრედიტო კოეფიციენტებს აწესებს, რაც ქმნის დაცვის აუცილებელ ბუფერს სავალუტო რისკების მატერიალიზაციის შემთხვევაში.

**- შემოსავალს იღებთ ლარში, მაგრამ ის ინდექსირებულია უცხოურ ვალუტაზე ხელფასის გადახდის დღის კურსით. შესაძლებელია თუ არა სესხის აღება ამ უცხოურ ვალუტაში?**

- დიახ, შესაძლებელია. თუ ხელფასის გადამხდელ ორგანიზაციას არ აქვს სავალუტო რისკი (მაგ. საერთაშორისო ორგანიზაციაა), მაშინ შესაძლებელია სესხი აიღოთ იმავე კოეფიციენტების გამოყენებით, რაც ლარში სესხის აღების შემთხვევაში მოქმედებს. ხოლო თუ ორგანიზაციას აქვს სავალუტო რისკი, მაშინ თქვენ ითვლებით ე.წ. არაჰეჯირებულ მსესხებლად, რის გამოც გამოყენებული იქნება შესაბამისი (უფრო დაბალი) კოეფიციენტი.

- **როგორ ითვლება PTI** რევოლვირებად **პროდუქტებზე მაგალითად ოვერდაფტზე ან საკრედიტო ბარათებზე?**

- ასეთი სესხის მომსახურების კოეფიციენტი დაიანგარიშება ჯამური ლიმიტის მოცულობის ანუიტეტური წესით 4 წლიან პერიოდზე გადათვლით. მაგალითად, თუ თქვენი ოვედრაფტის ჯამური ლიმიტი არის 1,000 ლარი, თI-ის მიზნებისათის ყოველთვიურ გადასახდელებში გაითვალისწინება დაახლოებით 28 ლარი (დათვლილია 15% წლიური საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში).

**- დასაქმებული ვარ აგროსექტორში (გათავისუფლებული ვარ 200 000-მდე საშემოსავლო გადასახადისგან), ანგარიშ-სწორება მაქვს ნაღდი ფულით და არა ჩარიცხვით. შევძლებ თუ არა შემოსა-ვლის დადასტურებას და სესხის აღებას?**

- დიახ. სესხის გამცემმა უნდა შეაფასოს ფიზიკური პირის შემოსავალი მისი შიდა პროცედურების შესაბამისად და განსაზღვროს სესხის მოცულობა ისე, რომ მსესხებლის ჭარბვალიანობა არ გამოიწვიოს.

## სულთათანა

# ნანა მდინარაძის მოსაგონარი

**გარდაცვლილთა ნებისმიერი მოსაგონარი ფასეულია ჩვენთვის, თუკი სიცოცხლეში გვიყვარდა ისინი."**

**ემილი ბრონტე**



სიკვდილთან დამოკიდებულება ყოფნა-არყოფნის თემა მარადიულიგანსჯის საგანია. თითოეულ ჩვენგანს გააზრებული აქვს „რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი..." მაგრამ რა მტკივნეულია მაინც ამქვეყნიდან წასვლა, მით უმეტეს თუ ეს ახალგაზრდას ეხება...

კიდევ ერთი ახალი ტკივილი, სევდა ნანა მდინარაძეს წასვლით გამოწვეული ცხოვრების შუაგზაზე შემოაღამდა...ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი, ბევრი მიზანი განსახორციელებელი, მაგრამ უკურნებელმა სენმა არ დააცალა. ვიმედოვნებდით, რომ სასწაული მოხდებოდა და ნანა ავადობასგაუმკლავდებოდა. ის ხომ ასეთი მებრძოლი იყო... პრობლემებს არასოდეს უშინდებოდა, მთელი მისი ცხოვრებაც ბრძოლა იყო თვითდამკვიდრებისთვის, შვილებისთვის შეუძლებელს შესძლებდა... .

წავიდა ჩვენგან დიდებული ქართველი ქალბატონი, საკუთარი და სხვისი შვილების ღირსეულად აღმზრდელი, გამორჩეული პედაგოგი, შემოქმედებითი, სიყვარულით და სიცოცხლით სავსე, მოწესრიგებული, საკუთარ საქმეზე შეყვარებული ქალი საუკეთესო მეგობარი, გულისხმიერი, ზნეკეთილი ადამიანი.

ბახვის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელმა არაერთი ნორჩის გულში დაანთო სიყვარულის მზე, პატივისცემა და მოკრძალება იგრძნობოდა ყოველთვის მისი პიროვნების მიმართ, მისი გაკვეთილები დღესასწაული იყო , ცოდნის და გონიერების ზეიმი. რაც მთავარია, ადამიანობას და სიყვარულს და ურთიერთგატანას გვასწავლიდაო, იხსენებენ მისი აღზრდილები.

არიან ადამიანები რომლებიც ბედისწერასთან ბრძოლისთვის დაიბადნენ , ნანაც ასეთი იყო

მაგრამ სიკვდილთან ბრძოლაში დამარცხდა , დამარცხდა ფიზიკურად, მაგრამ სიკვდილზე იძლია სათნოებით, სიკეთით, სიყვარულით რის გამოც ხსოვნაში განაგრძობს სიცოცხლეს, მარადიულ სიცოცხლეს!

**ბახვის საჯარო სკოლა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების დამოუკიდებელი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია**

# სკანვორდი




## № 43-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – დავით შემოქმედელი; ფეხბურთის მეფე – პელე; ქალის სახელი – ცისანა; კურორტი საქართველოში შოვი; პორტი ბულგარეთში – ვარნა; ევკალიპტის სახეობა – მანანა; პოლონეთის ძველი დედაქალაქი – კრაკოვი; მდინარე ციმბირში – ამური; ხევის დედოფალი – მყინვარწვერი; ბუჩქოვანი ყვავილი – იასამანი; მალამო – ვიშნევსკი; თურქმენეთის დედაქალაქი – აშხაბადი; სადაც ილია მოჰკლეს – წიწამური; თავის ქალას ქვედა ნაწილი – ნიკაპი; უღელტეხილი – რიკოთი; ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი – ლი; მეტყველების ორგანო – ენა; I პირის ნაცვალსახელი – მე; საძიებელი საქმე – ვერსია; ნაგვის ყუთი – ურნა; ძვირფასბეწვიანი ცხოველი – სიასამური; სახელმწიფო აზიაში – ვიეტნამი; ვარსქენის მეუღლე – პიტიახში; სააბაზანო – საშხაპე; ვაზის ჯიში – კამური; ცნობილი ფიზიკოსი – ომი; „პირველი ნაბიჯის" პერსონაჟი – ესმა; ერთგვარი ნამცხვარი – შუ; საქონლის სადგომი – ბაკი; მე-12 ასობგერა – მ; ყამირი – უშალი; მკვრივი კლდე – სალი; მუნიციპალიტეტი სამეგრელოში – აბაშა; უმწეო – უსუსური; მეფეთა საჯდომი – ტახტი; ფრანგი მსახიობი – რიშარი; მამაკაცის სახელი – ნური; ციხე-სიმაგრე დუშეთში – ანანური; გაზაფხულის ყვავილი – ია.

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# გუგუნავები



ივანე გუგუნავა

### ივანე (ჩითან) გუგუნავა

რამდენიმე ათეული წლის წინათ ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში მშვენიერი ქალის პორტრეტი (შემდეგში „გურულ მადონად" წოდებული) და რამდენიმე ნახატი მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა „თამარიანის" ავტორის სიმონ გუგუნავას შვილიშვილმა სიმონ გუგუნავამ, რომელიც მისთვის მხატვრის ივანე (ჩითან) გუგუნავას დას სოფიო გუგუნავა-გოგიბერიძეს უსახსოვრია. მუზეუმის საინვენტარო წიგნში სურათი რატომღაც უცნობი ქალის პორტრეტად აღირიცხა, მაშინ, როცა სოფიო გუგუნავასთვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ავტორისა და პორტრეტზე გამოსახული ქალის ვინაობა. გადმოცემით ვიცით, რომ მუზეუმის მაშინდელ მეცნიერ-თანამშრომელ მაკარ თავდუმაძეს „უცნობი ქალის პორტრეტი" (იგივე მხატვრის დის „სალომეს პორტრეტი") ფოტოასლი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქციაში მიუტანია, აქ იგი უნახავს ოთარ ფირალიშვილს, მხატვრის სხვა ნამუშევრებსაც გაცნობია და მათ შესახებ გამოუქვეყნებია წერილები: „მხატვარ ივანე გუგუნავას უცნობი სურათი" და „ქართული მხატვრობის კლასიკოსი" (ხსენებული ჟურნალი, 1955წელი, 5,6). დღეისათვის უფრო სწორად, კარგა დიდი ხანია, ეს სურათი ჩვენთან არ ინახება.

მხატვარ ივანე გუგუნავას ცხოვრებასა და შემოქმედებას დიდი ღვაწლი დასდო ხელოვნებათ მცოდნე ოთარ ფირალიშვილმა. მისი საფუძვლიანი მონოგრაფია „ივანე გუგუნავა,მივიწყებული მხატვრის კვალდაკვალ" გამოიცა 1964 წელს (გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება").

ქართული მხატვრობის კლასიკოსი, ერთ-ერთი პირველი ქართველი პეიზაჟისტი და პოტრეტისტი, ივანე( ჩითან) გუგუნავა დაიბადა 1860 წლის 24 მარტს სოფელ ლიტვინოვოში(რუსეთი, ტულის ოლქი, ბელიოვის ოლქი). მამამისი, თავადი გიორგი გუგუნავა საიმპერატორო არმიის ოფიცერი იყო, გრენადერების ოლქის პრაპორშჩიკი. მას ცოლად შეურთავს ლიტვინოვოში მცხოვრები მღვდლის, ნიკოლოზ ანდრეევსკის ასული სოფიო. ივანე მათი უფროსი ვაჟი იყო. როცა იგი ხუთი წლის გახდა, გიორგი თავისუფალი აზრებისათვის სამსახურიდან დაითხოვეს და, ოჯახთან ერთად, საქართველოსკენ გამოეშურა.

ბავშვობა ივანე გუგუნავამ (1865-1872) სოფელ ძიმითში გურიის, მამა-პაპისეულ სახლში გაატარა. ამ პერიოდში ქართული ენა სრულყოფილად ისწავლა და ქართული ზნე-ჩვეულებებიც ზედმიწევნით აითვისა.

სამშობლოში დაბრუნებულ გიორგის გაუახლდა ყრმობის სიყვარული და იგი თავადის ქალს მაკა შალიკაშვილს დაუახლოვდა, რასაც მეუღლესთან სოფიოსთან განშორება მოჰყვა. უმაღლესი სინოდის გადაწყვეტილებით, უფროსი ვაჟი ივანე დედას ერგო, უმცროსი ნიკო - მამას. 1872 წელს 12 წლის ივანე, დედასთან ერთად, რუსეთში დაბრუნდა.

ივანე რუსეთში დასახლების შემდეგ, ყოველწლიურად სტუმრობდა საქართველოს, ზაფხულს ძიმითში ატარებდა და უმცროს და-ძმებ-თანაც (გიორგის მეორე ქორწინებაში მაკა შალიკაშვილთან შვიდი შვილი ჰყავდა) ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენთვის ცნობილი არ არის პატარა ივანეს როდის აღმოაჩნდა მხატვრობისადმი მისწრაფება, მაგრამ ცნობილია ის, რომ იგი 1875წელს შევიდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმძღვრების სასწავლებელში, სადაც სწავლობდა 1875-1880 წლებში. აქ მისი პედაგოგები იყვნენ პროფესორები: ე. პეროვი და ა.სავრასოვი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1876 და 1877 წლებში სასწავლებელში მოწყობილ გამოფენებზე ივანე გუგუნავამ წარადგინა საქართველოს ბუნების ამსახველი პეიზაჟები და ეტიუდები. 1881-1886 წლებში სწავლა განაგრძო პეტერბურგში, სამახატვრო აკადემიაში. სტუდენტობის პირველივე წელს ნატურიდან შესრულებული ერთ-ერთი ეტიუდისათვის ვერცხლის მეორე ხარისხის მედალი დაიმსახურა. 1888 წელს მან მიიღო „კლასგარეშე (თავისუფალი) მხატვრის წოდება.1886-1887 წლებში, როგორც მხატვარი, თანამშრომლობდა ჟურნალთან „მსოფლიო ილუსტრაცია".

1891 წლამდე ივანე გუგუნავა ცხოვრობდა პეტერბურგში. 1892 წელს გადავიდა მოსკოვში. აქ იგი ჩაერთო მხატვართა წრეების საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო სამხრეთ რუსეთის მხატვართა ძმობის, მოსკოვის მხატვართა ამხანაგობისა და საზოგადოება „სრედას" წევრი და



მხატვრის დის მაკას პორტრეტი

ერთ-ერთი დამფუძნებელი. შედიოდა გამოფენების საორგანიზაციო ჯგუფში და თავადაც ხშირად მონაწილეობდა გამოფენებში, გარკვეული წლეების განმავლობაში ასწავლიდა მოსკოვის მე-5 ვაჟთა გიმნაზიაში.

1897-1901 წლებში, მამის გარდაცვალების გამო, დაბრუნდა საქართველოში. ცოლ-შვილიც ჩამოიყვანა და რამდენიმე წლის მანძილზე ცდილობდა ოჯახის საქმეების გაძღოლას. 1902 წელს კვლავ გაემგზავრა და სიკვდილამდე ცხოვრობდა მოსკოვში. მონაწილეობდა მოსკოვის მხატვართა ამხანაგობის (1901-1913,1910-1916-1918 წწ), მხატვართა ახალი საზოგადოების (1910), მხატვრული დაჯგუფება „სრედას"(1918) და სხვა გამოფენებში. 1911 წელს მონაწილეობა მიიღო მსოფლიო გამოფენაზე რომში. მხატვრის სიცოცხლეში მისი ნამუშევრები არასდროს გამოფენილა საქართველოში.

საქართველოში გატარებულმა ბავშვობის წლებმა გადამწყვეტი გავლენა იქონიეს ივანე გუგუნავას შემოქმედებით ცხოვრებაზე, სამუდამოდ დააკავშირეს მშობლიურ ხალხთან და მის ბუნებასთან. მისი პირველი პეიზაჟები 1876-1877 წლებით თარიღდება. დახატული აქვს საქართველ-ოს ბუნების ამსახველი 100-მეტი სურათი. სამწუხაროდ, უმეტესი ნაწილი დაკარგულია, რადგან გამოფენებზე სწრაფად იყიდებოდა და მათი შემდგომი ბედი უცნობია. მის მიერ შექმნილი სურათების უმრავლესობის მხოლოდ სახელწოდებებია ცნობილი, ისიც საგამოფენო კატალოგებიდან და საარქივო მასალებიდან.

ქართული ფერწერის ისტორიაში მხატვარ ივანე გუგუნავას გარკვეული ადგილი მიეკუთვნება, რადგან მე-19 საუკუნის 70-იანი წლების დამლევს, როცა ქართველი მხატვრებიდან პეიზაჟებზე არავინ მუშაობდა, იგი რუსეთში ჰფენდა საქართველოს ბუნების ამსახველ სურათებს. პატარა ივანემ საქართველოდან თან წაიღო გულწრფელი სიყვარული ლამაზი საქართველოსი, მშობლიური სახლისა და სოფლისა. ბავშვმა ივანემ ძიმითში არა მარტო ქართული ენის დაუფლება შეძლო, არამედ შეითვისა და შეიყვარა ქართული ზნე-ჩვეულებანი,რაც შემდეგ მისი მხატვრული ტილოების ძირითად ლაიტმოტივად იქცა. იგი მამის ოჯახის მეშვეობით უკავშირდება საქართველოს, გრძნობდა იმ ტკივილებს, რასაც მისი თანამემამულეები განიცდნენ მეფის მთავრობის ბიუროკრატიული რეჟიმისა და ეროვნული ჩაგვრის გამო, რამაც, ბუნებრივია, ქართულ თემაზე შექმნილ სურათებს გარკვეული ნაღვლიანი იერი მისცა.

დავუბრუნდეთ ივანე გუგუნავას შემოქმედების შედევრს „სალომეს პორტრეტს", მუზეუმის ყოფილი თანამშრომლის მაკარ თავდუმაძის მოგონება: „სალომეს პორტრეტი მუზეუმის ფონდის გადასინჯვისას აღმოჩნდა, შემოსავლის წიგნში არ იყო არავითარი ჩანაწერი. კლევა-ძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს სურათი მუზეუმში მოუტანია სიმონ გუგუნავას, „თამარიანის" ავტორის შვილიშვილს სიმონ გუგუნავას (ამჟამად სურათი დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). სპეციალისტების აზრით „მხატვარმა რეალისტურად ასახა ქალიშვილის განწყობილება, სევდა,რომელიც გამოხატულია მის თვალებში, ერთის მხრივ, გამოწვეული იყო იმით, რომ სალომეს ერთმა ძმამ თავი მოიკლა, რადგა დედამ უფლება არ მისცა ცოლად შეერთო ღარიბი აზნაურის ქალი, მეორე მხრივ,თვით სალომეს წილად ხვდა კარჩაკეტილი ცხოვრება, სალომეს სულს უხუთავდა თავადაზნაურული გარემო. ტრაგიკული იყო თვით სალომეს ბედი. იგი გარდაიცვალა 18 წლის ასაკში ტვინის ანთებით სოფელ ასკანაში, თავისი ბიძაშვილის სოფიოს მეუღლის ანტონ ჩხაიძის ოჯახში . პორტრეტი დახატულია სალომეს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, დახლოებით 1891 წელს" (გაზ. „ლენინის დროშა", 1955წელი, 23 ნოემბერი).

საინტერესოა მისი მეორე სურათი „ჩონგურზე დამკვრელი ქალი". მასზე აღბეჭდილია მხატვრის ერთ-ერთი და (დაცულია საქართველოს ხელოვ ნების მუზეუმში),მასში მეტყველი ფერებითაა გადმოცემული ქართველი ქალის კლდემამოსილება. საყურადებოა, რომ ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცულია მხატვარ ივანე გუგუნავას ძმის, ვარდენის პორტრეტის ფოტორეპრედუქცია (ეს ის ვარდენია, ვისაც გლოვობდა სალომე). ფოტორეპროდუქცია საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, როგორი იყო სინამდვილეში ვარდენი.

ასევე დაცული გვაქვს მაკას და პატარა სიმონ ჯახუტაშვილის პორტრეტი (ორივე ესკიზი). მაკა მხატვრის უმცროსი და იყო. იგი ოთხი წლის ასაკშია დახატული, სურათი შესრულებულია ტილოზე, რომელიც მუყაოზეა გადაკრული. მუქ ყავისფერ ფონზე გამოხატულია თმებშეკრეჭილი, წითელტან-საცმლიანი პატარა გოგონას ავადმყოფური სახე, ყურის მახლობლად მხატვრის მიერ ჩაწერილი ორი ასო „მ" და „გ" მაკა გუგუნავას გამოსაცნობი ინიციალებია, დიდრონი ნაღვლიანი თვალები პორტრეტს სევდიან განწყობილებას აძლევს.

პატარა სიმონ ჯახუტაშვილის პორტრეტი: ჩოხაში გამოწყობილი ხუთიოდე წლის ბიჭუნა ტახტზე ზის, მუთაქებს შორის, რომელიც ჰარმონიულად ეხამება კედელზე გაკრულ ხალიჩას და იარაღს.სურათი შესრულებულია ზეთის საღებავებში. სურათზე გამოსახულია გუგუნავების მოურავის ვაჟი პატარა სიმონ ჯახუტაშვილი.

ცნობილია გაღმა დვაბზუელი თვით სიმონ ჯახუტაშვილის მოგონებები თუ როგორ ხატავდა პატარა სიმონს. მოგონება ჩაუწერია მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის



ვარდენ გუგუნავა

ყოფილ მეცნიერ თანამშრომელს მაკარი თავდუმაძეს 1955 წელს. მაშინ სიმონ ჯახუტაშვილი 70 წლის, გაღმა დვაბზუს კოლმეურნეობის წევრი ყოფილა: „ჩემი დახატვის მომენტში ჩოხაში გამომაწყვეს, წელზე შემაბეს პატაარა სატევარი, ჩექმები დიდი იყო, ვისარგებლე მომენტით, უცნაურად ჩაცმული ეზოიშ გამოვედი, ბატები დამდევდნენ, მოვრთე კივილი, მომეშველა ჩითანი (ივანე გუგუნავა),შემდეგ ხატვას შეუდგა, დამხატა, ჩემი სურათი რუსეთში უნდა წაეღო გადასამუშავებლად, მაგრამ მამამ არ დაანება. მას შემდეგ ეს სურათი ინახება ჩვენს ოჯახში" (მოგონებები გამოქვეყნებულია 1955 წლის 23 ნოემბრის გაზეთ „ლენინის დროშაში").



სიმონ ჯახუტაშვილის პორტრეტი

სურათი ინახება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდებში, აღნიშნული სურათი, მხატვრის დის მაკას პორტრეტთან ერთად, წაღებულია სარესტავრაციოდ თბილისში და მუზეუმს დაუბრუნდება დეკემბერში. სიმონ ჯახუტაშვილის შთამომავლები-შვილიშვილები დღეს ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ოზურგეთში.

ივანე გუგუნავას ძირითად ნამუშევრებად ითვლება: „კარმიდამო", „ნაადრევი თოვლი",(1877წ), „შემოდგომის დილა"(1880), „ოკაზე"(1880), „წმინდა ეგორის დღეობა" (1890), „მოსკოური ეზოები", „ქართველი გლეხები", „სუფსაზე", „ტყემ ჩათვ-ლიმა", „ზამთრის თბილი დღე", „ღამე", „მზეზე", „სპექტაკლის დასრულების შემდეგ", „გაზაფხულის ღრუბლები", „ზაფხულის დასაწყისში", „გარეუბანი", „რთველი" და სხვა. მათი ნაწილი დაცულია ნიჟეგოროდის სახელ-მწიფო სამხატვრო მუზეუმში.

მხატვრის რამდენიმე ნამუშ-ევარი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული:„გურული ოდა" (1893), „შემოღამება ბახვის წყალზე", დების პორტრეტები: „ჩონგურზე დამკვრელი ქართველი ქალი"(1893), „სალომეს პორტრეტი"(1891), „პატარა მაკას პორტრეტი". ამ პორტრეტებში მან ქართველი ქალების განუმეორებელი სახეები გააცოცხლა, განსაკუთრებით სალომეს პორტრეტით, რომელსაც დაარქვეს „ქართველი მადონა".

ივანე გუგუნავას მეუღლე იყო ანა კიპრიანის ასული კაბანოვა. ჰყავდათ სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. მხატვარი გარდაცვალა 1919 წლის 8 თებერვალს, 59 წლის ასაკში, მოსკოვში, თავის სამუშაო ოთახში, მოლბერტთან, რომელზეც გურიის პეიზაჟი იყო გამოსახულიო.

ივანე გუგუნავას სახე შემოგვინახა თ. რემბერგის მიერ შესრულებულმა პორტრეტმა.

2019 წელს სრულდება ივანე (ჩითან) გუგუნავას გარდაცვალებიდან 100 წელი. სურვილი გვაქვს აღვნიშნოთ ეს თარიღი. კულტურის სამსახურთან, სამხატვრო სკოლასთან, სამხატვრო გალერეასთან ერთად, მუზეუმში მოვაწყობთ ივანე (ჩითან) გუგუნავას ნამუშევრების გამოფენას ,მოსწავლეები ნატურიდან გააკეთებენ ჩანახატებს, გამოვლინდებიან გამარჯვებულები.

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# სალომე ზურაბიშვილი - თუ რამისთვის დავბრუნდი, არის ის, რომ სანამ ცოცხალი ვარ, ჩავიდე და ვნახო სოხუმი, იქიდან დანახული შავი ზღვა






ცია დაპირისპირების შესახებ, მტრის საქმეს აკეთებს.

„ვისაც გააქვს გარეთ, რომ ჩვენ ვართ დაყოფილი, რომ ვართ ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებული, ასუსტებს ქვეყანას და ჩვენი მტრის საქმეს აკეთებს ქვეყნის შიგნით. ამას არ დავუშვებთ. მე ვიქნები გაერთიანებული ქვეყნის პრეზიდენტი, მე ვიქნები გამთლიანებული ქვეყნის პრეზიდენტი, მე ამის პირობას ვერ დავდებ, რადგან არ მიყვარს ტყუილი პირობები. მაგრამ მე ყველანაირად, მთელი ჩემი ძალითდა თუ რამისთვის დავბრუნდი და რამისთვის ვარ აქ, არის ის, რომ სანამ კიდევ შემიძლია, სანამ ცოცხალი ვარ, ჩავიდე და ვნახო სოხუმი, შავი ზღვა იქიდან დანახული. ცხინვალში ვარ ნამყოფი 2006 წელს,ადგილობრივი არჩევნები ჩავატარე ცხინვა-ლში და დღეს ამის საშუალება აღარ გვაქვს. რა მოხდა ამის შემდეგ, ეს არის კითხვები, რომელსაც ყოველთვის ვსვამ და ყოველთვის დავსვამ, რაც უნდა დამაბრალონ. მე მაბრალებენ რაღაც სიტყვებს მხოლოდ იმისთვის, რომ მათ საქმეები არ დავაბრალოთ“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# საფეხბურთო კლუბმა „ბახვი“ ოზურგეთში „მეგობრობის თასი“ ჩამოგვიტანა

## კლუბის 10 ფეხბურთელი თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში შეუდგება სწავლასა და წვრთნას



**ალიონი.** გასულ პარასკევს, 16 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების დარბაზში (სპორტის სასახლეში) შეხვედრა მოუწყვეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის **საფეხბურთო კლუბ „ბახვს“,** რომელმაც დედაქალაქიდან ოზურგეთში „მეგობრობის თასი“ ჩამოგვიტანა.

„მეგობრობის „თასის“ მორიგი გათამაშება ტრადიციულად თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის სპორტულ ბაზაზე გაიმართა, რომელშიც საქართველოში მოქმედი ბავშვთა ფეხბურთის წამყვანი გუნდები მონაწილეობდნენ.

წინა წლებში მიღწეული წარმატებების შემდეგ სულაც არ მიგვაჩნია სიურპრიზად, რომ საფეხბურთო კლუბ „ბახვის“ ფეხბურთელებმა (2004 წლებში დაბადებულები) ფინალურ მატჩში თვით 35-ე სკოლის გუნდი დაამარცხეს, შეუპოვარ ბრძოლაში თითქმის წაგებული მატჩი (აგებდნენ 0:3-ს) ბოლო 14 წუთში შემოაბრუნეს და 4:3 გაიმარჯვეს. ამ წარმატებაში, ფეხბურთელებთან ერთად, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: მთავარმა სპეციალისტმა **გოჩა კრასოტკინმა,** მწვრთნელებმა – **თენგიზ ღლონტმა** (სოფელი ნატანები), **თორნიკე წულაძემ** (სოფელი ბახვი) და **ნიკოლოზ ჭკუასელმა** (სოფელი შრომა).

„მეგობრობის თასის“ ტურნირის მიზანი პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევაა. შედეგს არ იკითხავთ? იანვრიდან 10 ოზურგეთელი ფეხბურთელი – **ნიკა აბულაძე** (წმ. ნინოს სახელობის გიმნაზია); **ლუკა სალინაძე** (ბახვის საჯარო სკოლა), **ზურაბ მარკოიძე** (ლაითურის საჯარო სკოლა), ნოდარ ვაშალომიძე, **გიორგი ვაშალომიძე** (ორივე მთისპირის საჯარო სკოლა), **ზაზა მაისურაძე** (ქვედა ბახვის საჯარო სკოლა), **ბესარიონ მითაიშვილი** (ჯუმათის საჯარო სკოლა); **ალეკო დეკანაძე** (ლაითურის საჯარო სკოლა); **ირაკლი შილაკაძე** (შემოქმედის საჯარო სკოლა); **კონსტანტინე ხინიკაძე** (ძიმითის საჯარო სკოლა) თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში შეუდგებიან სწავლასა და წვრთნას.

**გოჩა კრასოტკინი:** *მეგობრობის თასი“ ჩვენთვის ყოველთვის პრესტიჟული ტურნირი იყო. ხელმოცარული არასდროს დავბრუნებულვართ, მაგრამ ახლახან დამთავრებულში მართლაც შთამბეჭდავ წარმატებას მივაღწიეთ. ძალიან დაძაბული ნახევარფინალური და ფინალური მატჩები გვქონდა, ორივეში ვაგებდით, შესაბამისად 1:4-სა და 0:3-ს მაგრამ ორივე მოგებით დავაგვირგვინეთ – 5:4 და 4:3.*

*თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა მადლობა გადავუხადო ტურნირის ორგანიზატორებს, 35-ე სკოლას, მის დირექტორს, ბატონ გოჩა ავსაჯანიშვილს ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, ტურნირში მონაწილე გუნდებზე გამოჩენილი ყურ-ადღებისა და ზრუნვისათვის. გარდა იმისა, რომ 35-ე სა-ფეხბურთო სკოლა გვეხმარება ფეხბურთელების აღზრ-დ-აში, უზრუნველგვყოფს სპორტული ინვენტარითაც.*

*ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას როგორც ფინანსური, ისე სხვა სახის დახმარებისათვის. სწო-რედ მუნიციპალიტეტის მერიამ გამოთქვა სურვილი სო-ფელ ბახვში განახლდეს სა-ფეხბურთო სტადიონი ყველანაირი ინფრასტრუქტურით. მადლობა გუბერნიასა და ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს არჩილ თალაკვაძეს, რომელთა გვერდით დგომას ყოველთვის ვგრძნობდით.*

*აქვე მინდა, გაცნობოთ, რომ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ამოქმედდება ბავშვთა საფეხბურთო კლუბები, მათ ბაზაზე დაკომპლექტდება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ ტურნირებში. არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ოზურგეთის მუნიციპალი-ტეტის ბავშვთა რომელიმე ნაკრები გუნდი საერთაშო-რისო ასპარეზობებზეც ვიხილოთ.*

# ლაშა ჭეფხოძის მორიგი წარმატება



9 - 11 ნოემბერს თბილისში კიკბო-ქსინგში (სარეიტინგო ორთაბრძოლაში - პროფესიონალთა შორის) საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა.

საერთაშორისო ასპარეზობაში ხუთი ქვეყნის არაერთი, პროფესიონალი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას.

ტურნირში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსლებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული კიკბოქსინგის სექციის მწვრთნელმა, ამავდროულად მოქმედმა სპორტსმენმა, **ლაშა ჭეფხოძემ** 60 კგ. წონით კატეგორიაში საუკეთესოდ იასპარეზა და შეჯიბრიდან ოზურგეთში ოქროს მედლითა და თასით დაბრუნდა.

**Eagle Fight Series** - 6 ეგიდით გამართულ პრესტიჟულ ტურნირს საქართველომ მეორედ უმასპინძლა.

ლაშა ჭეფხოძე მორიგი საერთაშორისო ტურნირისათვის ემზადება, რო-მელიც უმოკლეს დროში, ყაზახეთში გაიმართება.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე ღრუბელი +9+16 | ღრუბელი +7+14 | ღრუბელი +9+15 | მცირე წვიმა +7+15 | ძლიერი წვიმა +4+8 | მცირე წვიმა +1+5 | მცირე თოვლი -2+4 |
| 19 ნოემბერი ორშაბათი | 20 ნოემბერი სამშაბათი | 21 ნოემბერი ოთხშაბათი | 22 ნოემბერი ხუთშაბათი | 23 ნოემბერი პარასკევი | 24 ნოემბერი შაბათი | 25 ნოემბერი კვირა |